საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 0 22 0000382729

13/04/2022

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტაჟიორთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტებისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2021 წლის 03 თებერვლის №54701 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟირების გავლის წესის“ საფუძველზე, ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2022 წლის 05 აპრილის №351847 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტაჟიორთა შერჩევის მიზნით 4 (ოთხი) ადგილზე.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - www.hr.gov.ge - კონკურსის გამოცხადების დღიდან 10 კალენდარული დღის ოდენობით - 2022 წლის 13 აპრილიდან 2022 წლის 22 აპრილის ჩათვლით.
3. ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტაჟიორის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) განათლება - ბაკალავრის ან უფრო მაღალი აკადემიური ხარისხი ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე სემესტრის სტუდენტი განათლების მეცნიერებების / მენეჯმენტი და ადმინისტრირების / სამართლის / სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;
ბ) ინგლისური ენის ფლობა - B2 დონეზე; ქართული ენის ფლობა - C2 დონეზე, რაც დასტურდება წარმოდგენილი რეზიუმეთი;

გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint,) კარგად ცოდნა, რაც დასტურდება წარმოდგენილი რეზიუმეთი.
4. კონკურსში მონაწილე პირს მოეთხოვება შემდეგი საკონკურსო თემატიკის ცოდნა:
ა) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;
ბ) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
გ) „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანება;
დ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ნაწილი);
ე) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.
5. სტაჟირების გავლის მსურველს უნდა გააჩნდეს:
ა) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
ბ) ეფექტური კომუნიკაციის უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
გ) ლოგიკური აზროვნების უნარი;
დ) დეტალებზე ორიენტირებულობის უნარი.
6. კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:
ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და დოკუმენტაცია წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით;
ბ) შესაბამის ველში ატვირთოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი ან/და ცნობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე / ცნობა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რითიც დასტურდება სწავლის ფაქტი) ასლი;
ბ) მიუთითოს 1 (ერთი) რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია).
გ) წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელშიც უნდა ჩანდეს თუ რატომ სურს კანდიდატს ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში სტაჟირების გავლა.
7. სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვროს 3 თვის ვადით (გაგრძელების პერსპექტივით).
8. სტაჟიორს ევალება ხელმძღვანელის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება, რომელიც მიმართული იქნება სტაჟიორის პროფესიულ ზრდის, პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
9. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად:
ა) განცხადების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.
10. გასაუბრების ეტაპზე კონკურსანტები შეფასდნენ დანართის შესაბამისად. ცენტრის დირექტორს სტაჟიორად დასანიშნად წარედგინოს საუკეთესო შედეგის მქონე 4 (ოთხი) კონკურსანტი, იმ დათქმით, რომ მათი შედეგი (ქულა) ქულათა შესაძლო მაქსიმალური ოდენობის 50%-ზე მეტი იქნება.
11. საკონკურსო კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს ქულათა სისტემის საფუძველზე, განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.
12. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამსახურს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით, კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

13. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფა.
14. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ